# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/20

ქ. თბილისი 15 იანვარი 2020

**სტუ-ის სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“, სტუდენტთა განცხადებების, აკადემიური საბჭოს წევრის, ნინო ნიშნიანიძისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა დაკულტეტის დეკანის, ივანე ჯაგოდნიშვილის შუამდგომლობის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრიდან დანართში მითითებული სტუდენტები გადაყვანილ იქნენ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**